საქართველოს მთავრობის

დადგენილება №136

2018 წლის 26 მარტი

ქ. თბილისი

„საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა ფულადი სარგოებისა და დანამატის ოდენობების, მათი გაცემის პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 იანვრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთა ფულადი სარგოებისა და დანამატის ოდენობების, მათი გაცემის პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 იანვრის №38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/01/2018, 120260040.10.003.020353) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-4 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**